British–Georgian Academy

სასკოლო ფორმის სახელმძღვანელო

სკოლის ფორმის პოლიტიკის დოკუმენტი

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებისა და სასკოლო საზოგადოების შემეცნების ამაღლებისათვის გადამწყვეტი როლი აკისრია სკოლის ფორმას. ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მოსწავლეებს მოეთხოვებათ ყოველთვის დადებითად წარმოაჩინონ სკოლის სახე ვიზუალური თვალსაზრისით. ბრიტანულ-ქართული აკადემიის ფორმის ვიზუალი და დიზაინი შექმნილია მულტიკულტურული ნორმების სრული გათვალისწინებით.

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებს მოეთხოვებათ ეცვათ სკოლის ფორმა ყოველთვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლის შესახებაც სკოლის ადმინისტრაცია აუცილებლად წინასწარ წერილობით შეგატყობინებთ.

მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში გამოცხადდებიან შეუსაბამო ტანისამოსით, გაფრთხილებული იქნებიან როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით სკოლის ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ხელმეორე დარღვევის შემთხვევაში მოხდება ფორმალური კომუნიკაცია მეილის საშუალებით და, შესაძლოა, მშობელი/მეურვე ვალდებული გახდეს მიაწოდოს მოსწავლეს შესაფერისი ფორმა, სანამ იგი დაიშვება გაკვეთილებზე.

გოგონები

- გრძელტოტიანი კლასიკური შარვალი ან შესაფერისი სიგრძის შორტი* - მუქი ლურჯი
- პოლო მაისური ან პერანგი ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი-თეთრი
- ჟაკეტი/სვიტერი/ჟილეტი/ჰუდი ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი-მუქი ლურჯი
- მუქი ლურჯი/ ნეიტრალური ფერის კოლგოტი
- სასკოლო კაბა ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი შესაფერისი სიგრძის -მუქი ლურჯი
- ქვედაბოლო შესაფერისი სიგრძის– მუქი ლურჯი

ბიჭები

- გრძელტოტიანი კლასიკური შარვალი ან შესაფერისი სიგრძის შორტი* - მუქი ლურჯი
- პოლო მაისური ან პერანგი ბრიტანულ-ქართული აკაედემიის ლოგოთი-თეთრი
- ჟაკეტი/სვიტერი/ჟილეტი/ჰუდი ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი-მუქი ლურჯი

**შორტის და ქვედაბოლოს სიგრძე განისაზღვრება შემდეგნაირად - ეთი მტკავეღი მუხლს ზემოთ.*

ფორმების გარკვეული ნაწილი და ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგო შეგიძლიათ შეიძინოთ სკოლაში. სკოლის ლოგოს დამაგრება შესაძლებელია სვიტერზე/ ჟაკეტზე/ მაისურზე სახლის პირობებში, უთოს საშუალებით.

სკოლის მოლოდინია, რომ სკოლის მოსწავლეები იყვნენ შესაფერისად ჩაცმულები, შესაფერისი ვარცხნილობით და მინიმალური სამკაულით. ამის მოთხოვნის საფუძველს პირველ რიგში იძლევა მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

მოსწავლეებმა უნდა ატარონ ბრიტანულ-ქართული აკადემიის მაისურები სპორტის გაკვეთილებისთვის.

ბიჭები:

- **ყველა მოსწავლე ვალდებულია მოვიდეს სკოლაში თეთრი პოლო მაისურით ან თეთრი პერანგით ბრიტანულ-ქართული აკაედემიის ლოგოთი. თუ მოსწავლე ატარებს პერანგს, ყველა ღილი (გარდა ბოლოსა) ყოველთვის უნდა იყოს შეკრული. არ დაიშვება ჯინსის მაისური, ზოლიანი მაისური, მაისური მოხატულობით ან განსხვავებული ლოგოთი.**

- **თუ მოსწავლეები გადაწყვეტენ სვიტერის, ჰუდის, ჟაკეტის, პიჯაკის ჩაცმას, აუცილებლად უნდა იყოს მუქი ლურჯი ფერის, სასკოლო ლოგოთი და არა რაიმე სხვა ბრენდის ან განსხვავებული ლოგოთი.**

• შარვალი აუცილებლად უნდა იყოს მუქი ლურჯი კლასიკური სტილის. სპორტული სტილის და ჯინსის შარვალები არ არის სასკოლო ფორმის ნაწილი.

• თუ მოსწავლე გადაწყვეტს ჩაიცვას შორტები, ის აუცილებლად უნდა იყოს კლასიკური სტილის, მუქი ლურჯი და შესაფერისი სიგრძის. დაუშვებელია სპორტული სტილის შორტები.

გოგონები:

• ყველა მოსწავლე ვალდებულია მოვიდეს სკოლაში თეთრი პოლო მაისურით ან თეთრი პერანგით ბრიტანულ-ქართული აკადემიის ლოგოთი. თუ მოსწავლე ატარებს პერანგს, ყველა ღილი (გარდა ბოლოსა) ყოველთვის უნდა იყოს შეკრული. არ დაიშვება ჯინსის მაისური, ზოლიანი მაისური, მაისური მოხატულობით ან განსხვავებული ლოგოთი.

• თუ მოსწავლეები გადაწყვეტენ სვიტერის, ჰუდის, ჟაკეტის, პიჯაკის ჩაცმას, აუცილებლად უნდა იყოს მუქი ლურჯი ფერის, სასკოლო ლოგოთი და არა რაიმე სხვა ბრენდის ან განსხვავებული ლოგოთი.

. თუ მოსწავლე გადაწყვეტს ჩაიცვას ქვედაბოლო/ შორტები, ის აუცილებლად უნდა იყოს კლასიკური სტილის, მუქი ლურჯი და შესაფერისი სიგრძის. დაუშვებელია სპორტული სტილის ქვედაბოლო/ შორტები.

• მოსწავლეს ასევე შეუძლია ჩაიცვას მუქი შესაფერისი სიგრძის ლურჯი ქვედაკაბა ან შორტი. შესაფერის სიგრძედ განისაზღვრება ერთი მტკაველი მუხლს ზემოთ.

www.bga.ge

BRITISH-GEORGIAN ACADEMY
Leo Kvachadze 17 (LISI LAKE AREA)
(995 32) 2 251 253; 2 294 295